საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს,

ბ-ნ შალვა პაპუაშვილს

მოქალაქე: მიხეილ სახვაძის

პირადი ნომერი: [redacted]

მცხოვრები: [redacted]

ტელ: [redacted]

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგესალმებით დიდი პატივისცემითა და თანამშრომლობის იმედით და გაგაცნობთ ჩემს ინიციატივას, თხოვნას, სურვილს, ოცნებას...

გთხოვთ, განიხილოთ საქართველოს ერთი რიგითი მოქალაქის ინიციატივა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში **ბებიის დღის ოფიციალურად დაწესებას გულისხმობს**.

აქვე ორიოდ სიტყვით მოგახსენებთ ჩემ შესახებ: გახლავართ დაოჯახებული. მყავს მეუღლე და 10 და 7 წლის ვაჟები. ამჟამად ვმუშაობ ტელეკომპანია „პოსტივიში" სცენარისტად. ასევე, ვარ საავტორო რუბრიკა „მამების დროს" თანაავტორი და თანაწამყვანი, რომელიც მამებისა და შვილების განსაკუთრებულ ურთიერთობებს ეხება. გარდა ამისა, დასაქმებული ვარ ქართულ-შვეიცარიულ კომპანია „ბლაუენშტაინ საქართველოში", სადაც მარკეტინგის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობას ვიკავებ.

რაც შეეხება ინიციატივას, ბებიის დღის ისტორიის შესახებ ქვემოთ ვრცლად მოგახსენებთ, თუმცა მანამდე განგიმარტავთ, როგორ წარმომიდგენია ამ დღის საქართველოში დაწესება:

პირველ რიგში, თავიდან რომ ავიცილოთ ნებისმიერი გაუგებრობა და მითქმა-მოთქმა, ვფიქრობ, **ბებიის დღის დაწესებისთვის საუკეთესო თარიღი გახლავთ 17 სექტემბერი** და აი, რატომ:

1. 1906 წლის 17 სექტემბერს არის დაბადებული გენიალური ქართველი მსახიობი სესილია თაყაიშვილი;

2. დამეთანხმებით, სწორედ სესილია თაყაიშვილმა შექმნა ქართულ კინოში ბებიის დაუვიწყარი სახეები: „მე, ბებია, ილიკო და ილარიონში" - ოლღა ბებია, „ნატვრის ხეში" - მარადია;

3. ბებია და ბარაქიანი შემოდგომა, რთველი, ჩურჩხელა, თათარა, ფელამუში - ეს ყველაფერი ჩვენს ქვეყანაში ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული.

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-5883/22
16 05 2022 წ. ფურცლ 2

ახლა რაც შეეხება ბებიის დღის ისტორიას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში:

ეს არის დღესასწაული, რომელიც მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში აღინიშნება, მათ შორის, უმეტესად ოფიციალურ დონეზე, წელიწადის სხვადასხვა დროსა და დღეს, ზოგ შემთხვევაში - მხოლოდ ბებიის, ზოგან - ბებიისა და ბაბუის (პაპის) დღე.

პირველად მსოფლიოში ბებიის დღე პოლონეთში აღინიშნა - 1964 წელს.

შემდეგ უკვე ეს დღე აშშ-ს უკავშირდება - 1978 წლიდან დღესასწაულმა ეროვნული ხასიათი მიიღო.

აშშ-ის მაშინდელი პრეზიდენტის, ჯიმი კარტერის მიერ ხელმოწერილ სტატუტში დღესასწაულის მიზანი შემდეგნაირად არის განმარტებული: „პატივი მივაგოთ ბებიებსა და ბაბუებს; მივცეთ ბებიებსა და ბაბუებს შესაძლებლობა, გამოავლინონ სიყვარული თავიანთი შვილების მიმართ და დავეხმაროთ შვილებს, გაიზიარონ ხანდაზმულთა ძალა, ინფორმაცია მათ შესახებ, გამოცდილება“...

ბებიისა და ბაბუის დღეს ყველა ქვეყანაში ერთმანეთის მსგავსი 3 მიზანი აქვს:

- ბებიებისა და ბაბუებისთვის პატივის მიგება;

- მიეცეთ ბებიებსა და ბაბუებს შესაძლებლობა, გამოავლინონ სიყვარული თავიანთი შვილების მიმართ

- შეძლონ შვილებმა და შვილიშვილებმა, გაიაზრონ ხანდაზმულთა ძალა, ინფორმაცია მათ შესახებ და ასევე, გამოცდილება“...

დღეის მდგომარეობით, ბებიისა და ბაბუის დღე მსოფლიოს 40-ზე მეტ ქვეყანაში აღინიშნება. უფრო მეტიც, საფრანგეთსა და არგენტინაში წლის მანძილზე ბებიებისა და ბაბუების დღე სამჯერ აღინიშნება, სადაც კალენდარზე მონიშნულია ცალკე ბებიის, ცალკე - ბაბუისა და მესამედ უკვე ერთად - ბებიისა და ბაბუის დღეები.

- საფრანგეთში აღინიშნება 1987 წლიდან, ყოველი წლის 7 მარტს (ბებიის დღე);

- პოლონეთში 1964 წლიდან - 21 იანვარს (ბებიის დღე);

- ავსტრალიაში 2010 წლიდან ოქტომბრის ბოლო კვირა დღეს (ბებია-ბაბუის დღე);

- იტალია - 2 ოქტომბერი (ბებიის დღე)

ასევე აღნიშნავენ: კანადაში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, პუერტო-რიკოში, ესტონეთში, ახალ ზელანდიაში, სამხრეთ აფრიკაში და ასე შემდეგ და ასე შემდეგ...

ნებისმიერი კითხვის შემთხვევაში, მზად ვარ თანამშრომლობისთვის. ასევე, მზად ვარ, ვიზრუნო ხელმოწერების შეგროვებაზე, თუკი ასეთი საჭიროება დღის წესრიგში დადგება.

პატივისცემითა და თანამშრომლობის დიდი იმედით - მიხეილ სახვაძე.

განმცხადებელი: მიხეილ სახვაძე

თარიღი: 16.05.2022